

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან 2017–2018 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებზე

21 მარტი, 2017 წელი, 13:00 საათი

სასტუმრო „Holiday Inn“, თბილისი

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ მხარდაჭერით იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მუშაობს სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს 2017-2018 წლებში კომიტეტის კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო საქმიანობის პრიორიტეტებს, აგრეთვე, კომიტეტების სხვა აქტივობებს ორგანიზაციული და კომუნიკაციის საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებით.

კომიტეტის წევრების შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართება მიმდინარე წლის 21 მარტს, თბილისში, სასტუმრო “Holiday Inn”-ში.

აღნიშნული შეხვედრის მიზანია სამოქმედო გეგმის შემუშავებისას არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებების გაზიარება კომიტეტის საქმიანობასა და მათ პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელშეწყობა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) უფრო ფართო ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ერთ-ერთი მიმართულებაა. სამწლიანი პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 4 მილიონ ევროს აღემატება, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.